

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 29 მაისს მეორე მოსმენით მიიღო კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მითითებულ ცვლილები მიმოხილულია ჩვენს 2018 წლის დეკემბრის გამოცემაში.

ცვლილების მიხედვით, საწარმოს, რომელიც ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობას შეიძლება მიენიჭოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. სტატუსის მქონე პირები ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ, საერთაშორისო კომპანიის მიერ, არარეზიდენტისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა, არ დაიბეგრება დღგ-ით. საერთაშორისო კომპანიას არ ექნება დაქირავებული პირისათვის ხელფასის გაცემისას საშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის ვალდებულება. ამასთანავე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი (ამავე დროს არ არის იმ ქვეყნის რეზიდენტი, რომლის მოქალაქეცაა) არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით საერთაშორისო კომპანიიდან დაქირავებით საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე. საერთაშორისო კომპანია მოგების გადასახადით დაიბეგრება 5 პროცენტიანი განაკვეთით, ხოლო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი არ დაიბეგრება. საქართველოს მთავრობას ექნება უფლება დაადგინოს ისეთი ხარჯების ჩამონათვალი, რომლის საქართველოში გაწევის შემთხვევაში, საერთაშორისო კომპანიას, ექნება უფლება გადასახდელი მოგების გადასახადი შეამციროს ამ ხარჯის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით. საერთაშორისო კომპანია გათავისუფლდება ქონების (გარდა, მიწისა)

გადასახადისგან, თუ ეს ქონება გამიზნულია ან გამოიყენება საქართველოს მთავრობის დადგენილებით ნებადართული საქმიანობისათვის.

ცვლილებით ზუსტდება, რომ პირი საგადასახადო კოდექსის 98¹-98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება მიწოდებული საქონლი/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, დღგ-ის გარეშე, თუ ეს ფასი მოიცავს დღგ-ს.

კანონპროექტის თანახმად განისაზღვრება რომ ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირისათვის, მასში 50 პროცენტის ან მეტი წილის სანაცვლოდ აქტივების გადაცემა, აღარ განიხილება აქტივის მიწოდებად.

კანონპროექტის შესაბამისად მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 2019 წლის საანგარიშო პერიოდიდან, ბანკების მსგავსად, მიეცემათ უფლება გამოქვითონ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ცვლილების თანახმად ახლებურად ყალიბდება საგადასახადო კოდექსის 174-ე უბლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, ზუსტდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით დღგ-ის ჩათვლის მიღების პირობები. კერძოდ, ცვლილების მიხედვით დღგ-ს ჩათვლა მიღებული უნდა იქნეს არაუგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში შესაბამისი მონაცემების შეტანის გზით (მათ შორის, ამავე პერიოდის დაზუსტებული დეკლარაციის წარდგენით). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზუსტდება 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და ემატება 3¹ ქვეპუნქტი.

კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“

2019 წლის 3 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიღებულ იქნა პირველი მოსმენით.

კანონპროექტის შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში ხდება დასაშვები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრება გააჩნდეს უცხოელს, მისი დომინანტური მონაწილეობით შექმნილ იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფინანსურ ინსტიტუტს ან საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტს:

- უცხოელ ფიზიკურ პირს უფლება ექნება მხოლოდ მემკვიდრეობის საფუძველზე მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამასთანავე კანონპროექტში შესაბამისი შეზღუდვის არარსებობა მიუთითებს, რომ უცხოელი შეიძლება გახდეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მემკვიდრე როგორც კანონით მემკვიდრეობის ასევე ანდერძით მემკვიდრეობის გზით;
- იურიდიულ პირს, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, უფლება ექნება შეიძინოს საკუთრების უფლება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, მხოლოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში და მხოლოდ შესაბამისი საინვესტიციო გეგმის წარმოდგენის შემთხვევაში. ამასთანავე ამ კატეგორიაში მყოფი იურიდიული პირი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას ვერ მოიპოვებს, თუ მიწა მდებარეობს 5 კილომეტრიან სასაზღვრო ზონაში, ან მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ

განსაკუთრებული ზონაში;

რეგულირების

- საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლის დომინანტი პარტნიორია უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, უფლება ექნებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მოიპოვონ ამ ინსტიტუტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობის შედეგად. ამგვარ, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს ამჟამად წარმოადგენენ: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია (NEFCO), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB), უცხოეთის კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC) და ნიდერლანდების განვითარების ბანკი (FMO). საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტების სახეები მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში და მათი საქმიანობა უკავშირდება ფინანსური მომსახურების განხორციელებას, მათ შორისაა - კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვა.

ვალდებულებები და შეზღუდვები, რომლებიც წესდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, მათი დომინანტური მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისთვის, საქართველოს ფინანსური ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტებისთვის

- **გასხვისების ვალდებულება**

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას მემკვიდრეობით მიიღებს, დაევალება მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ან ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში - 3 წლის ვადაში მისი გასხვისება (აღსანიშნავია, რომ კანონპროექტში მითითებული ჩანაწერი ბუნდოვანია, რადგან 3 წლიანი ვადის ათვლა რომელი თარიღიდან უნდა დაიწყოს (მემკვიდრეობის მიღების მომენტიდან, თუ მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენების შეწყვეტის მომენტიდან თუ სხვა) საკანონმდებლო ინიციატივიდან არ დგინდება). მიწის გასხვისების ვალდებულება უცხოელს არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი საკარმიდამო მიწის კატეგორიას განეკუთვნება. თუ მიწის ნაკვეთი დადგენილ ვადაში არ გასხვისდება, ის გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) საქართველოში რეგისტრირებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საინვესტიციო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ერთი წლის ვადაში უნდა უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის გასხვისება. თუ მიწის ნაკვეთი დადგენილ ვადაში არ გასხვისდება, ის გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, რომელთა დომინანტი

პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, საკუთრების წარმოშობიდან 2 წლის ვადაში უნდა უზრუნველყონ მიწის გასხვისება;

დ) უცხოელს ან საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი ან/და საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი), **რომლის საკუთრების უფლება უკვე რეგისტრირებულია** სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, კანონის ამოქმედების შემდეგ დაევალება უზრუნველყოს მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ხოლო ამ ვალდებულების ზედიზედ 3 წლის განმავლობაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქცია;

- **შეზღუდვები**

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება დაუშვებელი ხდება, თუკი მიწის ნაკვეთი იტვირთება უცხოელის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის, ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი/საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) სასარგებლოდ;

ბ) **მოთხოვნის დათმობა დაუშვებელი ხდება**, თუ ასეთი მოთხოვნის დათმობით უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, ან/და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი/საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი) უნდა წარმოეშვას საკუთრების უფლება;

შენიშვნა: ეს შეზღუდვები არ გავრცელდება საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფინანსურ ინსტიტუტებზე, ასევე უცხოელზე, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს იღებს მემკვიდრეობით.

გ) შეზღუდვები წესდება სამეწარმეო საზოგადოებაში წილის შეძენა/გასხვისებასთან დაკავშირებითაც, კერძოდ, დაუმჯებელია პარტნიორის იმგვარი ცვლილება, რის შედეგად დომინანტი პარტნიორი გახდება უცხოელი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის დომინანტი პარტნიორი არის უცხოელი/ საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი, თუკი

საზოგადოებას საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ასეთი საზოგადოების წილი (აქცია) ასევე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უზრუნველყოფის საშუალებად, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს უზრუნველყოფის საგნის გადასვლას ზემოთ დასახელებული პირების საკუთრებაში.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.